საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი თეიმურაზ შალვას ძე

თ. კანდელაკი

კანდელაკი თეიმურაზ შალვას ძე (25. II. 1928, თბილისი, – 21. XII. 2003, იქვე), არქიტექტორი. არქიტექტურის კანდიდატი (1967). საქართველოს დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1952). სხვადასხვა დროს მუშაობდა "თბილქალაქპროექტ-ში", "საქქალაქმშენსახპროექტში", "სოიუზგიპროტორგში" (მოსკოვი). იყო საქართვ. კულტურის სამინისტროს სახვ. ხელოვნ. და ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი (1964–73). 1959-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა სპი-ში (1991- იდან სტუ), ხოლო 1985–2003 – თბილ. სამხატვრო აკადემიაში (დოცენტი 1974-იდან). ნამუშევრები: განთიადის ბაზილიკის (VI ს.) რესტავრაციის პროექტი (გაგრის მუნიციპალიტეტი; 1952, არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), საცხოვრ. სახლები თბილისში: დავითაშვილის (ახლანდ. ამაღლების ქ., №35, 1955), მცხეთის ქ., №2 (1962, არქიტ. რ. ბაირამაშვილთან და არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), ცაგერის ქ., №4 (1973), ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში (1967, მოქანდაკე ე. ამაშუკელთან და არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), ერეკლე II-ის ძეგლი თელავში (1971, მოქანდაკე მ. მერაბიშვილი) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. შრომები. მონაწილეობას ღებულობდა ქართ. ხუროთმოძღვრული ძეგლების აზომვაში – აწყურის ციხე (1949), რუისისა (1951) და ბაგრატის ტაძრები (1953–54) და სხვ.

ლიტ.: ნ ა ხ უ ც რ ი შ ვ ი ლ ი კ., თეიმურაზ კანდელაკი. არქიტექტორი, თბ., 2003.

თ. კანდელაკი. საცხოვრებელი სახლი. 1955. თბილისი.

თ. გერსამია